რუსთავის
მეტალურგიული
ქარხანა

შპს "რუსთავის ფოლადი"
გაგარინის ქ. 12, 3700, რუსთავი, საქართველო
ტელ: +99532 2 606699
ფაქსი: +99532 2 606699(3030)
contacts@rustavisteel.ge
www.rustavisteel.ge

№ 336

25/08/2022

ს.ა.ი.ა. გარემოს ეროვნული
სააგენტო
31 08 2022 წ.
№ 4477

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „რუსთავის ფოლადი"-ს მეტალურგიული ქარხანა მიმდინარე საქმიანობას ახორციელებს 2019 წლის 16 სექტემბრის N2-897 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N6, 20 იანვარი 2009 წელი) საფუძველზე.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების გაცემიდან დღემდე, ქარხნის მიმდინარე საქმიანობაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერძოდ:

- ქარხანაში ამოქმედდა ელექტროფოლადსადნობი საამქრო;
- ფოლადის წლიური წარმოება გაიზარდა 8 000ტ/წ-დან 130000-140000ტ/წ-მდე;
- გაიზარდა ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი და რაოდენობა;
- ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღებიდან დღემდე არ განხორციელებულა ცემენტის წარმოება და ცემენტისთვის განკუთვნილ დანადგარების ნაწილზე, მიმდინარეობს კირის წარმოება. კირის წარმოებაზე, 2009 წლის 25 სექტემბრის N90 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის საფუძველზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 31 ოქტომბრის N2-1043 ბრძანებით, გადაეცა შპს ,,ელბა ექსპორტი"-ს;
- დემონტაჟი ჩაუტარდა ელექტროფოლადსადნობ საამქროში არსებულ ინდუქციურ ღუმელებს.

გარდა აღნიშნულისა შპს „რუსთავის ფოლადი" ქარხნის ელექტროფოლადსადნობ საამქროს ტერიტორიაზე მოწყობილია ახალი 35 ტ/სთ წარმადობის ახალი ფოლადსადნობი ღუმელი, რომელიც დღეისათვის მომზადებულია ექსპლუატაციაში გაშვებისათვის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული წარმოადგენს მეტალურგიული ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, რაც საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „რუსთავის ფოლადი"-ს მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იქნა ქარხნის მიმდინარე საქმიანობის ტექნოლოგიურ ციკლში შეტანილი ცვლილებების სკრინინგის განაცხადი, რაზედაც მინიტრის 15.01.2019 წლის N2-36 ბრძანებით გაცემული იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, შპს „რუსთავის ფოლადს" განესაზღვრა ვალდებულება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლის თაობაზე.

ქარხნის მიმდინარე საქმიანობის ტექნოლოგიურ ციკლში შეტანილი ცვლილებების სკოპინგის განაცხადის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 ნოემბრის №2-1129 ბრძანებით

გაცემული იქნა N117 სკოპინგის დასკვნა (18.11.2019). სკოპინგის დასკვნის საფუძველზე მომზადებული იქნა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით განაცხადი სამინისტროში წარდგენილი იქნა 2021 წლის 27 აგვისტოს. გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვის შემდეგ, სამინისტროს მიერ შეწყვეტილი იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ადმინისტრაციული წარმოების პროცესი (სამინისტროს წერილი N11629/01. 09/11/2021 წ), ანგარიშში დაფიქსირებული სხვადასხვა სახის ხარვეზების გამო. მიიღო გადაწყვეტილება სკოპინგის პროცედურის თავიდან დაწყებასთან დაკავშირებით.

წარმოგიდგენთ შპს „რუსთავის ფოლადი"-ს მეტალურგიული ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშს, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით.

წერილს თან ერთვის:

- შპს „რუსთავის ფოლადი"-ს მეტალურგიული ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და ქარხნის განთავსების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები შეიფ (shp) ფაილების სახით.

პატივისცემით,

ნუგზარ კაჩუხაშვილი

შპს „რუსთავის ფოლადი"-ს გენერალური დირექტორი

შპს „რუსთავის ფოლადი" 404411908 LLC "RUSTAVI STEEL"